

ცნობა

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 ნოემბერის

რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

მიმდინარე წლის 14 ნოემბერს დღის 12:00 საათზე გაიმართება ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა (მის: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქუჩა N1 ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) შემდეგი დღის წესრიგით:

საკითხი 1. ხულოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სოფელ დანისპარაულში მდებარე უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - ს/კ 23.14.36.377) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: ზურაბ თავართქილაძე - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგის წარმოებას ახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა შეუძლიათ დღის წესრიგის თაობაზე ცნობის გამოქვეყნებიდან 2018 წლის 13 ნოემბერს დღის 13:00 საათამდე საკრებულოს აპარატში (მის: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქუჩა N1 ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მესამე სართული). ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის (დადგენილება, განკარგულება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2018 წლის 14 ნოემბერი.